პროექტი

დასკვნა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის I კვარტლის ანგარიშის შესახებ”- განკარგულების პროექტის თაობაზე

განკარგულების პროექტი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის I კვარტლის ანგარიშის შესახებ”, შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი’’-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც ბიუჯეტის შესრულების კონტროლი და ბიუჯეტის შესრულების შეფასება საკრებულოს განსაკუთრებული უფლებამოსილებაა.

პროექტი ასევე შეესაბამება ამავე კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტს, რომლის მიხედვითაც საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

პროექტის სამართლებრივი საფუძველია ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 85-ე მუხლი, რომლის შესაბამისად ყოველი კვარტლის დასრულებიდან 1 თვის ვადაში ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას.

ადმინისტრაციული სამსახურის
იურიდიული განყოფილების უფროსი *ბექა შენგელია*